



საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი

ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირებისათვის, სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მიზნით ფინანსური სახსრების კონკურსის წესით გადაცემის პროგრამა და სახელმძღვანელო/გზამკვლევი კონკურსში მონაწილეთათვის

2016 წელი

შესავალი.....	3
ორგანიზაციის მისია და ხედვა.....	3
სამოქმედო სტრატეგიაზე მუშაობის პროცესი.....	3
ახალგაზრდობის განვითარების აქტუალური პრობლემების ხედვა	4
პროგრამის მიზნები	7
საბოლოო მიზანი	7
სპეციფიური მიზნები	7
სამიზნე ჯგუფები და გამჭოლი პრიორიტეტები.....	8
პროგრამის ქვეპროგრამები/მიმართულებები	9
პროგრამა 1. დასაქმების ხელშეწყობა და არაფორმალური განათლება	9
მიზნები.....	9
საპროექტო განაცხადების კონკურსის პრიორიტეტები	10
ქვეპროგრამის „ლოტები“	13
პროგრამა 2. ცხოვრების ჯანსაღი წესი და მასობრივი სპორტი	20
საპროექტო განაცხადების კონკურსის პრიორიტეტები	21
პროგრამა 3. სამოქალაქო მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა	23
მიზნები.....	23
საპროექტო განაცხადების კონკურსის პრიორიტეტები	24
პროგრამა 4. ინოვაციებისა და სტარტ-აპ ტექნოლოგიური გამოგონებების მხარდაჭერა.....	26
მიზნები.....	26
საპროექტო განაცხადების კონკურსის პრიორიტეტები:.....	27
საპროექტო წინადადებების შეფასების კრიტერიუმები	28
საგრანტო კონკურსის ტექნიკური პირობები	29
ვის შეუძლია კონკურსში მონაწილეობა?	29
როგორ დავრეგისტრირდეთ ფონდის ვებ-გვერდზე?	30
როგორ შევავსოთ საპროექტო განაცხადების აპლიკაცია.....	31
საპროექტო განაცხადების კონკურსის ვადები.....	33
მისაბმელი ფაილები.....	33
პროექტის გაგზავნა.....	35
საკონსულტაციო საკითხები.....	36

შესავალი

ორგანიზაციის მისია და ხედვა

ფონდი არის საჯარო უწყება, რომელიც მხარს უჭერს ბავშვთა და ახალგაზრდულ ორგანიზაციების ინოვაციურ იდეებს, რათა წვლილი შეიტანოს სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებასა და მუდმივ გაუმჯობესებაში.

ფონდი ესწრაფვის ისეთ მომავალს, სადაც საქართველოს ყველა ბავშვს და ახალგაზრდას შეეძლება საკუთარი პოტენციალის რეალიზება და სრულად იქნება ინტეგრირებული საზოგადოებაში.

ვაცნობიერებთ რა ჩვენს გავლენას ბევრ ადამიანსა და ორგანიზაციაზე, ჩვენს საქმიანობაში ვეყრდნობით ისეთ ღირებულებებს, როგორცაა მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება, ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა, პატიოსნება, მიუმხრობლობა, თანასწორობა, თანამშრომლობა და ჩართულობა.

სამოქმედო სტრატეგიაზე მუშაობის პროცესი

ფონდმა დაიწყო სამოქმედო სტრატეგიის დაგეგმვაზე მუშაობა 2014 წელს. ეს პროცესი გახდება სისტემატიური და უწყვეტი. ეს იმას ნიშნავს, რომ სტრატეგიის განახლება მოხდება მუდმივად – განხორციელებული პროექტების შედეგების შეფასების გზით ფონდის ბენეფიციარი ორგანიზაციების გამოცდილებიდან ნასწავლი გაკვეთილების გათვალისწინებით.

მოცემული საპროექტო განაცხადების პროგრამა და მისი პრიორიტეტები 2016 წლის სტრატეგიის ნაწილია. ეს სტრატეგიული გეგმა (დასრულებისას) საპროექტო განაცხადების პროგრამის გარდა დაფარავს ფონდის ორგანიზაციული განვითარების საკითხებს ისევე, როგორც ახალგაზრდობის განვითარების სფეროში ჩართულ სხვა დაინტერესებულ პირებთან (დონორებთან, საერთაშორისო და ნაციონალურ სააგენტოებთან და ა.შ.) თანამშრომლობის საკითხებსაც.

ფონდის სამოქმედო სტრატეგია და საპროექტო განაცხადების პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდობის აქტუალურ პრობლემებს, ფონდის

შესაძლებლობებს და სახელმწიფოს ახალგაზრდული დოკუმენტის სტრატეგიულ მიმართულებებს, მიზნებსა და ამოცანებს. ასევე მხედველობაშია მიღებული სხვა სამთავრობო გადაწყვეტილებები და სტრატეგიული დოკუმენტები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ქვეყანაში ახალგაზრდობის განვითარებაზე.

ახალგაზრდობის განვითარების აქტუალური პრობლემების ხედვა

დასაქმების პრობლემა

საქართველოს მდგრად და ინკლუზიური სოცლილურ- ეკონომიური განვითარებას აფერხებს მზარდი სიღარიბე (6,4% დან 11,6% მდე ზრდა 2007 – 2014 წლების პერიოდში¹.) რაც თავის მხრივ გამოწვეულია უმუშევრობის მაღალი დონით (2014 წ. 12,4%) ამ პრობლემის დიდ ნაწილს ქმნის 15–29 წლის ახალგაზრდების უმუშევრობა, რაც საქართველოში 2014 წელს რჩებოდა (შემცირების მიუხედავად) უფრო დიდი (27%) ვიდრე ევროპაში (21,4%) ან მსოფლიოში (12,6%)². 2014 წელს საქართველოს უმუშევართა შორის ახალგაზრდობის წილი იყო 41,4% (მსოფლიოში მხოლოდ 40%) მაშინ, როცა ახალგაზრდების წილი მთლიან მოსახლეობაში არის მხოლოდ 21%. ეს უმუშევრობა მნიშვნელოვანწილად სტრუქტურულია, ანუ გამოწვეულია დასაქმების მსურველთა უნარების შეუფერებლობით შრომის ბაზრის (დამსაქმებელთა) მოთხოვნებთან.

თავის მხრივ, დასაქმების უნარების ეს შეუფერებლობა გამოწვეულია სისუსტეებით განათლების და სოციალური მომსახურების სისტემაში. ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის ზრდა³ შესაძლოა მნიშვნელოვანწილად გამოწვეული ყოფილიყო სკოლაში სწავლის თავის დანებების შემთხვევათა ზრდით ისევე როგორც სიღარიბის ზრდით⁴. ნათელია, რომ ეს პრობლემები ყველაზე მეტი აქვთ სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდებს⁵ და სოციალურად დაუცველი

¹ Geostat 2014, National Statistics office of Georgia, http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo

² შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) და მსოფლო ეკონომიური ფორუმის (WEF) მონაცემები

³ 15-19 წლის ახალგაზრდებს შორის უმუშევრობა გაიზარდა 27% დან 31% მდე 2007–14 პერიოდში – <http://geostat.ge/>

⁴ 2007–2010 წლებში გაიზარდა 27% ით– <http://geostat.ge/>

⁵⁵ [განსაზღვრება იხილეთ სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტში](#)

ოჯახების წარმომადგენლებს. სკოლიდან სამუშაოზე გადასვლის პროცესი მათთვის ბევრ სირთულეს შეიცავს.

მათი უნარი ისარგებლონ ფორმალური განათლების სისტემით (პროფესიული განათლების კოლეჯების სახით) არის დაბალი და სჭირდებათ როგორც სკოლის ცოდნაში ჩამორჩენის დაძლევა ასევე ისეთი ძირითადი კომპეტენციების განვითარება რაც ყველა პროფესიაში დასაქმებისათვის არის საჭირო (კომუნიკაციის, პრობლემების გადაწყვეტის უნარები და ა.შ). მათი ამ უნარების ისევე, როგორც კონკრეტული პროფესიული უნარების, განვითარებისათვის ყველაზე შესაფერია არაფორმალური განათლების მეთოდები და ინოვაციური, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მიდგომების გამოყენება (მაგალითად სამუშაო ადგილზე წვრთნის ნაირსახეობები). ამ უნარების განვითარების შედეგად მატულობს მათი უნარი უკეთ გამოიყენონ ფორმალური განათლების შესაძლებლობებიც.

განათლების სისტემის ხარვეზების გარდა ახალგაზრდების დასაქმების უნარიანობას აზიანებს კომერციული საწარმოების/დამსაქმებლებისათვის ინიციატივების ნაკლებობა ინვესტირება მოახდინონ ახალგაზრდების განათლებაში (თუნდაც სამუშაო ადგილზე წვრთნის მეთოდებით) და გამოცდილების დაგროვებაში. ამიტომ, კომერციულ საწარმოებში სოციალური პასუხისმგებლობის ზრდასა და დასაქმების ხელშემწყობი სოციალური მომსახურებების შექმნასთან ერთად, მნიშვნელოვან საჭიროებას წარმოადგენს ისეთი სოციალური საწარმოების განვითარება, რომელთა მიზანი იქნება სოციალურად მოწყვლადი კატეგორიის ახალგაზრდების დასაქმების ხელშემწყობა.

ჯანსაღი ცხოვრების წესი დამკვიდრების საჭიროება

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდები ფლობდნენ საკმარის ინფორმაციას ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ, ათვისებდნენ მის მნიშვნელობას და სარგებლობდნენ პრევენციული სერვისებით. აუცილებელია ახალგაზრდების

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გაძლიერება და მათი აღჭურვა იმ ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, რაც მათ საკუთარ ჯანმრთელობაზე უკეთ ზრუნვის საშუალებას მისცემს.⁶

სამოქალაქო პასუხისმგებლობის განვითარების საჭიროება

აღნიშნული საკითხი გულისხმობს საქართველოში სამოქალაქო აქტივობის გაზრდისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობას საგანმანათლებლო, კულტურულ და სპორტული აქტივობების წახალისების გზით.

ახალგაზრდობის ინოვაციური პოტენციალის გამოვლენის საჭიროება

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ ამოცანას ინოვაციური საქმიანობის და ახალი ტექნოლოგიების გადაცემისა და დანერგვის კომპლექსური ხელშეწყობა წარმოადგენს როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ დონეზე.⁷ ამ კუთხით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსია ადამიანური კაპიტალი. შესაბამისად, განათლება და მეცნიერების სფეროში ახალგაზრდობის ინოვაციური პოტენციალის განვითარება ქვეყნის განვითარებისთვის გამორჩეულად პრიორიტეტული, გრძელვადიან შედეგზე გათვლილი პრიორიტეტია. ამ კუთხით მხარს ვუჭერთ ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივებს, რომლებიც მიმართულია ადგილობრივ და რეგიონულ დონეებზე კონკრეტული ინოვაციური იდეების დანერგვასა და ამ

⁶ სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი

<http://msy.gov.ge/files/veko/2014%20weli/marti/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%92%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90.pdf>

⁷ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგია - საქართველო 2020
http://www.government.gov.ge/files/382_42949_233871_400-1.pdf

სფეროში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებაზე, ახალგაზრდების ჩართულობისა და მათი განვითარების კუთხით.

დასახული ამოცანის მისაღწევად საჭიროა ახალგაზრდობის ფართო ჩართულობა, აკადემიურ და პედაგოგიურ წრეებთან, სამთავრობო სტრუქტურებთან, დონორ ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ პირებთან აქტიური თანამშრომლობა, ცოდნისა და პრაქტიკის გაზიარება.

პროგრამის მიზნები

საბოლოო მიზანი

საპროექტო განაცხადების პროგრამის საბოლოო მიზანია წვლილი შეიტანოს სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებაში მასში ბავშვთა და ახალგაზრდული ორგანიზაციების ჩართულობის უზრუნველყოფის გზით; ხელი შეუწყოს ამ ორგანიზაციების განვითარებაში, რათა მათ უკეთ შეძლონ საქმიანობა ახალგაზრდების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, მათი ნიჭისა და უნარის განვითარებისათვის და საზოგადოებაში დამკვიდრებისათვის.

სპეციფიური მიზნები

საპროექტო განაცხადების კონკურსის უშუალო/სპეციფიური მიზნებია:

- 1) გააუმჯობესოს ახალგაზრდების დასაქმების უნარიანობა ისეთი ცოდნის და კომპეტენციების განვითარებაზე მიმართული არაფორმალური განათლებით, რომელიც განაპირობებს მათ შრომით ეფექტიანობას, კონკურენტუნარიანობას და დასაქმებას

- 2) გააძლიეროს ახალგაზრდების ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, ცოდნა, და ისეთი უნარ-ჩვევები, რაც მათ საკუთარ ჯანმრთელობაზე უკეთ ზრუნვის საშუალებას მისცემს
- 3) გაააქტიუროს ახალგაზრდების მონაწილეობა ქვეყნის საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში
- 4) გაზარდოს ახალგაზრდების აქტიურობა ინოვაციური და კრეატიული მიდგომებით ქვეყნის ეკონომიურ-სოციალურ ცხოვრებაში წვლილის შეტანისათვის.

სამიზნე ჯგუფები და გამჭოლი პრიორიტეტები

ფონდი პრიორიტეტულად თვლის ისეთი საპროექტო წინადადებების ფინანსურ მხარდაჭერას, რომლებიც სამიზნე ჯგუფად განსაზღვრავს:

** რეგიონიდან შემოსულ პროექტებს, აგრეთვე მაღალმთიანი (საქართველოს კანონით „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“) და კომპაქტურად დასახლებული რეგიონებიდან წარმოდგენილ პროექტებს;*

** ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი და სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის (თავი მე-3 პუნქტი მე-3) მიხედვით განსაზღვრული სპეციალური საჭიროებების მქონე ახალგაზრდების ინტეგრაციას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.*

ფონდი თვლის, რომ ყველა საპროექტო წინადადება, რომელ მიზნობრივ ჯგუფსაც არ უნდა ეხებოდეს ის, შესაძლებლობის ფარგლებში უნდა ითვალისწინებდეს გენდერული სამართლიანობისა და თანასწორობის თემებს, შშმ

პირების ჩართულობას (ინკლუზია), და რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობას.

პრიორიტეტი მიენიჭება ასევე პროექტებს, რომელთა განხორციელებაც იგეგმება სხვა დონორების მონაწილეობით. ასეთ პროექტებში გათვალისწინებული უნდა იყოს პროექტის შედეგების შეფასება ფონდის ან დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ.

პროგრამის ქვეპროგრამები/მიმართულებები

პროგრამა 1. დასაქმების ხელშეწყობა და არაფორმალური განათლება

მიზნები

ქვეპროგრამის მიმართულების მიზანია წვლილი შეიტანოს საპროექტო განაცხადების პროგრამის პირველი სპეციფიური მიზნის მიღწევაში.

მოცემული მიზანი შეესაბამება ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებას „დასაქმება, განათლება და მობილობა“. კერძოდ, ის ხელს უწყობს საქართველოს მთავრობას შემდეგი ამოცანების გადაჭრაში:

2.1.3 წაახალისოს ინოვაციებზე ორიენტირებული პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების საგანმანათლებლო სისტემიდან სამსახურზე გადასვლას;

2.1.4 ხელი შეუწყოს ახალგაზრდების ჩართვას საერთაშორისო საგანმანათლებლო და გაცვლით პროგრამებში;

2.1.5 ხელი შეუწყოს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განვითარებას.

2.2.1 ხელი შეუწყოს რთულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მცხოვრები, შეზღუდული შესაძლებლობების და სხვა სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების მონაწილეობას ზოგად და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში;

2.2.5 უზრუნველყოს პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლება სპეციალური საჭიროებების მქონე ახალგაზრდებთან მუშაობის ხარისხის გასაუმჯობესებლად ცალკეული ტიპის ჯგუფების სპეციფიკის მიხედვით.

2.3.1 ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო დაწესებულებების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდას;

2.3.4 ხელი შეუწყოს რეგიონების, განსაკუთრებით კი მაღალმთიანი რეგიონებისა და საოკუპაციო ხაზების მიმდებარე ტერიტორიების ეკონომიკურ განვითარებას, რაც შექმნის ახალგაზრდების ადგილზე დასაქმების შესაძლებლობებს;

2.4.2 უზრუნველყოს მობილობის ხელშემწყობი პროგრამების განვითარება;

2.4.3 შექმნას ხელსაყრელი გარემო საზღვარგარეთ სწავლის დაფინანსების სისტემის განვითარებისათვის;

საპროექტო განაცხადების კონკურსის პრიორიტეტები

ამ მიზნების მიღწევასა და ამოცანების გადაჭრაში წვლილის შესატანად საპროექტო განაცხადების პროგრამა ისახავს ორ ძირითად პრიორიტეტს:

1) სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობა

2) სკოლიდან სამუშაოზე გადასვლის პროცესის ხელშეწყობა

მოცემულ ქვეპროგრამაში შემოტანილი საპროექტო განაცხადი შეიძლება შეესაბამებოდეს როგორც ერთ, ასევე ყველა დასახელებულ პრიორიტეტს.

სოციალური მეწარმეობის ხელშესაწყობად განხორციელებული პროექტების ზოგიერთი მოსალოდნელი შედეგია:

- 1.1) მიზნობრივი ჯგუფის ახალგაზრდების დასაქმების მიზნით შექმნილი სამუშაო ადგილები სოციალურ საწარმოში
- 1.2) სამუშაო ადგილზე წვრთნის პროგრამები პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით
- 1.3) არაფორმალური განათლებით განვითარებული სამეწარმეო უნარები
- 1.4) მდგრადი სოციალური საწარმოს შექმნა ან არსებული სოციალური საწარმოს გაუმჯობესებული მდგრადობა
- 1.5) მომზადებული/გადამზადებული მწვრთნელები და მენტორები დასაქმებული ახალგაზრდების სამუშაო ადგილზე პროფესიული უნარების განვითარებისათვის
- 1.6) განვითარებული ორგანიზაციული უნარები (სტრატეგიული დაგეგმვის უნარი , ქსელური კავშირები და ა.შ.)

სოციალური მეწარმეობა: (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტი: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია) შენიშვნა: პრიორიტეტი სოციალური მეწარმეობა ნიშნავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომელსაც გააჩნია სოციალური მისია და არ ემსახურება ბიზნეს-ინტერესებს, სოციალური მეწარმეობის მთავარი მიზანი ფოკუსირებულია საზოგადოების კეთილდღეობაზე და მიღებული მოგების სოციალური მიზნებისთვის მიმართვაზე;

კონკურსის მიზნებისათვის ფონდი სოციალურ საწარმოდ თვლის ისეთ საწარმოს, რომელიც სრულად ეკუთვნის არამომგებიან ორგანიზაციას, საწარმოდან შემოსული მოგება ხმარდება მხოლოდ საწარმოს განვითარებას, და რომელიც შექმნილია ამა თუ იმ მიზნობრივი ჯგუფის ახალგაზრდების დასაქმების და/ან პროფესიული განათლების მიზნით.

სკოლიდან სამუშაოზე გადასვლის პროცესის ხელშესაწყობად განხორციელებული პროექტების ზოგიერთი მოსალოდნელი შედეგია:

- 2.1) სამიზნე ჯგუფის ახალგაზრდების სკოლაში ჩამორჩენის დაძლევის არაფორმალური განათლების პროგრამები
- 2.2) არაფორმალური განათლების პროგრამები ძირითადი კომპეტენციების (დასაქმებისათვის საჭირო ძირითადი უნარების) განვითარებისათვის სამიზნე ჯგუფის ახალგაზრდებში
- 2.3) ხელშეწყობით დასაქმების მომსახურებები (დასაქმების/კარიერის დაგეგმვის კონსულტანტის მომსახურება)
- 2.4) მიზნობრივი ჯგუფის ახალგაზრდებისათვის საჭირო სხვა სოციალური სერვისები სკოლიდან სამუშაოზე გადასვლის პროცესის გასაიოლებლად (მაგალითად, ფსიქოლოგის დახმარება, ბინის ქირის ნაწილობრივი დაფარვა უსახლკაროთათვის და ა.შ.)
- 2.5) განვითარებული ორგანიზაციული უნარები (სტრატეგიული დაგეგმვის უნარი , ქსელური კავშირები და ა.შ.)

აქტივობების შესაძლო სახეები (ეს სია არ ზღუდავს მიზნებით გამართლებულ სხვა შესაძლო აქტივობებს):

- ცოდნისა და უნარების განვითარებაზე მიმართული ღონისძიებები: ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები, კონფერენციები, სემინარები, სასწავლო ტურები ა.შ.
- საწარმო საშუალებების შეძენა (სოციალური საწარმოებისათვის)

- ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული აქტივობები (სოციალური რეკლამა მასმედიაში, საგანმანათლებლო ნაბეჭდი და ვიდეო მასალის გავრცელება და ა.შ.)
- უფლებადაცვითი და პოლისების ცვლილებაზე მიმართული ღონისძიებები (პოლისი რეკომენდაციებზე გამიზნული კვლევები, საკანონმდებლო ინიციატივები და ა.შ.)
- ქსელურ მუშაობაზე და ორგანიზაციების ინსტიტუციონალიზაციაზე მიმართული ღონისძიებები (კონფერენციები, შეხვედრები, სოციალური ქსელების განვითარება საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით და ა.შ.);

ქვეპროგრამის „ლოტები“

ლოტი #1

დაფინანსების მოცულობა

ლოტის ფარგლებში არ არის გათვალისწინებული რაიმე სპეციფიური შეზღუდვები (ლოტი #2-ის მსგავსად). ამ ლოტზე ვრცელდება კონკურსის ყველა ის პირობა, რაც გათვალისწინებულია როგორც ამ, ისე სხვა ქვეპროგრამებისათვის.

ლოტი #2

შესავალი

მოცემული ქვეპროგრამის ეს ლოტი (#2) წარმოადგენს ნაწილს პროექტისა - **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების სოციალური ინტეგრაციის მხარდაჭერა**. ეს პროექტი, რომლის ლიდერია ჩეხური ორგანიზაცია „ადამიანი გაჭირვებაში“, ხორციელდება ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მიერ. ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი, მოცემული საპროექტო განაცხადების კონკურსის სახით, წარმოადგენს პროექტის თანადამფინანსებელს და განმახორციელებელ პარტნიორს.

პროექტის საბოლოო მიზანია, საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების ცხოვრების ხარისხის და სოციალური ინკლუზიის გაუმჯობესება ინკლუზიური განათლების და შრომის ბაზარზე მათი დასაქმების მხარდაჭერის გზით.

მისი **კონკრეტული/უშუალო მიზანია** გააძლიეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდობის ჩართვა განათლების პროცესში და შრომის ბაზარზე ისეთი საშუალებებით, როგორცაა შესაბამისი ინსტიტუტების გაუმჯობესებული თანამშრომლობა და პრაქტიკაში ინოვაციური მეთოდების და სოციალური ინკლუზიის ეფექტური საშუალებების დანერგვა

დაფინანსების მოცულობა

შესაფერისი საპროექტო წინადადებების არსებობის შემთხვევაში, ლოტის ფარგლებში დაფინანსდება 2 ან მეტი პროექტი, რომელთა ჯამური ღირებულებაა **მინიმუმ 100 000 ლარი**.

თანხა, რომლის მოთხოვნა შეიძლება ერთი პროექტის დასაფინანსებლად

მაქსიმალური თანხა - 50 000 ლარი

მინიმალური თანხა - 25 000 ლარი

თანადაფინანსება

თანადაფინანსება არის პროექტის მთლიანი ღირებულების ნაწილის დაფარვა დაფინანსების ნებისმიერი წყაროდან ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის გარდა.

თანადაფინანსება არ არის აუცილებელი მოთხოვნა მოცემული ლოტის ფარგლებში.

მისასალმებელია პროექტის მთლიანი ღირებულების 10% მდე თანადაფინანსება.

თანადაფინანსების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს პროექტის მთლიანი ღირებულების 50%-ს.

შესაძლო განმახორციელებლები

საპროექტო წინადადების შემოტანა შეუძლია ერთ ან რამდენიმე ფორმალურად რეგისტრირებულ არასამთავრობო ორგანიზაციას.

თუ წინადადება/პროექტი შემოაქვს ერთზე მეტ ორგანიზაციას (პროექტის განმახორციელებელი კოალიცია), ერთ-ერთი მათგანი უნდა იყოს უშუალო შემომტანი/აპლიკანტი (შემდგომში პროექტის ლიდერი), ხოლო დანარჩენები (შემდგომში პარტნიორები) უნდა ინაწილებდნენ პროექტის განხორციელების შესახებ პასუხისმგებლობას მასთან ერთად.

საპროექტო განაცხადი შეიძლება შემოიტანოს არასამეწარმეო იურიდიულმა პირმა (ა.ა.ი.პ.), რომლის საწესდებო მიზნებიც აღიარებს ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის მიზანს. დაწვრილებით ინფორმაციისათვის იხილეთ მოცემული სახელმძღვანელოს თავი „ვის შეუძლია კონკურსში მონაწილეობა“.

მოცემული ლოტის ფარგლებში საპროექტო განაცხადის შემომტანი (პროექტის ლიდერი) ორგანიზაცია უნდა იყოს შშმ პირების მიერ დაფუძნებული ორგანიზაცია შშმპ-თა უფლებების დაცვის მიზნით ან ორგანიზაცია, რომელსაც აქვს ახალგაზრდობთან მუშაობის გამოცდილება⁸ მათი განათლების ან/და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

⁸ განსაკუთრებით მისასალმებელი იქნება შშმ პირებთან მუშაობის გამოცდილება

სამიზნე ჯგუფები

შემოტანილი პროექტის (საპროექტო წინადადება) უშუალო სამიზნე ჯგუფი უნდა მოიცავდეს 16 - 29 წლის ასაკის ახალგაზრდა შშმ პირებს. კონკურსის მიზნებისათვის შშმ პირად ჩაითვლება პირი, რომელსაც შშმ სტატუსი მინიჭებული აქვს კანონის შესაბამისად⁹ ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი (სსსმპ).

თუ სამიზნე ჯგუფის პირისათვის საჭიროა სსსმპ სტატუსის დადგენა, ფონდი უზამდგომლობას გაუწევს პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციის განათლების სამინისტროს მულტი-დისციპლინურ კომისიასთან ამ სტატუსის დასადგენად.

სამიზნე ჯგუფში სავარაუდოდ ჩასართავი პიროვნებების დასახელება საპროექტო განაცხადში არ არის კონკურსში მონაწილეობის მოთხოვნა. ამ პირების იდენტიფიცირება შეიძლება მოხდეს პროექტის განხორციელების ეტაპზეც.

ლოტის ფარგლებში უპირატესობა მიენიჭება ისეთ პროექტებს, რომლის სამიზნე ჯგუფიც გათვალისწინებული იქნება სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ან სახელმწიფოს ზრუნვიდან გამოსული ახალგაზრდების ჩართვა.

მოსალოდნელი შედეგები

სოციალური მეწარმეობის ხელშესაწყობად განხორციელებული პროექტების ზოგიერთი **მოსალოდნელი შედეგია:**

1.1) მიზნობრივი ჯგუფის ახალგაზრდების დასაქმების მიზნით შექმნილი სამუშაო ადგილები სოციალურ საწარმოში

⁹ საქართველოს კანონი სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/15772>

- 1.2) სამუშაო ადგილზე წვრთნის პროგრამები პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით
- 1.3) არაფორმალური განათლებით განვითარებული სამეწარმეო უნარები
- 1.4.) ხელშეწყობით დასაქმების მომსახურებები (დასაქმების/კარიერის დაგეგმვის კონსულტანტის მომსახურება)

სკოლიდან სამუშაოზე გადასვლის პროცესის ხელშესაწყობად განხორციელებული პროექტების ზოგიერთი მოსალოდნელი შედეგია:

- 2.2) არაფორმალური განათლების პროგრამები ძირითადი კომპეტენციების (დასაქმებისათვის საჭირო ძირითადი უნარების) განვითარებისათვის სამიზნე ჯგუფის ახალგაზრდებში
- 2.3) ხელშეწყობით დასაქმების მომსახურებები (დასაქმების/კარიერის დაგეგმვის კონსულტანტის მომსახურება)
- 2.4) მიზნობრივი ჯგუფის ახალგაზრდებისათვის საჭირო სხვა სოციალური სერვისები სკოლიდან სამუშაოზე გადასვლის პროცესის გასაიოლებლად (მაგალითად, ფსიქოლოგის დახმარება, ბინის ქირის ნაწილობრივი დაფარვა უსახლკაროთათვის და ა.შ.)

აქტივობების შესაძლო სახეები (ეს სია არ ზღუდავს მიზნებით გამართლებულ სხვა შესაძლო აქტივობებს):

- ცოდნისა და უნარების განვითარებაზე მიმართული ღონისძიებები: ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები, კონფერენციები, სემინარები, სასწავლო ტურები ა.შ.
- საწარმო საშუალებების შეძენა (სოციალური საწარმოებისათვის)

- ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული აქტივობები (სოციალური რეკლამა მასმედიაში, საგანმანათლებლო ნაბეჭდი და ვიდეო მასალის გავრცელება და ა.შ.)
- უფლებადაცვითი და პოლისების ცვლილებაზე მიმართული ღონისძიებები (პოლისი რეკომენდაციებზე გამიზნული კვლევები, საკანონმდებლო ინიციატივები და ა.შ.)
- ქსელურ მუშაობაზე და ორგანიზაციების ინსტიტუციონალიზაციაზე მიმართული ღონისძიებები (კონფერენციები, შეხვედრები, სოციალური ქსელების განვითარება საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით და ა.შ.);

გათვალისწინებული ტექნიკური დახმარება (დაფინანსების მიღმა)

მოცემული ლოტის ფარგლებში კონკურსში გამარჯვებულ ორგანიზაციებს მივაწოდებთ ტრენინგებს. ტრენინგები იქნება უფასო (ტრენერთა ანაზღაურებას რაც შეეხება). სამაგიეროდ ბენეფიციარებმა (სახელმწიფო დახმარების მიმღებებმა) ბიუჯეტში უნდა ჩადონ ტრენინგებზე დასწრების ხარჯები (მგზავრობა, დღიური ხარჯები).

ერთ-ერთი ასეთი ტრენინგის – პროექტის ციკლის მართვა და შეფასება – მიწოდებას ვგეგმავთ ჩვენი ძალებითაც. ამ ტრენინგისათვის საჭირო ორგანიზაციულ ხარჯებს (მონაწილეთა მგზავრობის გარდა) გაიღებს თვითონ ფონდი. ეს იქნება სავარაუდოდ 5 დღიანი ტრენინგი.

კონკურსში გამარჯვებული ორგანიზაციებს ასევე შევთავაზებთ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ტრენინგებს (არაფორმალური განათლება) საკვანძო კომპეტენციებში, სამიზნე შშმ ახალგაზრდებისათვის. ეს იქნა სავარაუდოდ 3 დღიანი ტრენინგი.

ველით ასევე, რომ სოციალური მომსახურების სააგენტო გაუზიარებს გამოცდილებას კონკურსში გამარჯვებული ორგანიზაციების ხელშეწყობით დასაქმების კონსულტანტებს (i.e. Job Coaches/ Supported Employment Consultants),

იმ კადრების საშუალებით, რომლებიც მას უნდა მოუმზადოს განათლების სამინისტრომ. ამ მიზნით სავარაუდოდ ჩატარდება 1 დღიანი სემინარი.

ფონდი ასევე შუამავლობას გაუწევს კონკურსში გამარჯვებული ორგანიზაციების ხელშეწყობით დასაქმების კონსულტანტებს, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო უწყებების მიერ ორგანიზებულ სხვა ტრენინგებში ხელშეწყობით დასაქმების სერვისებთან დაკავშირებით.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებს რეკომენდაციას ვუწევთ გაეცნონ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მიერ განხორციელებულ კვლევას „ახალგაზრდა შშმ პირების დასაქმების და დასაქმების უნარიანობის ხელშეწყობი ინსტიტუციური გარემო“, რომელიც შეუძლიათ ჩამოტვირთონ შემდეგი ბმულიდან:

https://www.facebook.com/download/737649573003183/RP_EmployabilityStudy.doc

ჩვენ გვსურს, რომ ხსენებული ნაშრომი გახდეს პერიოდულად განახლებადი გამოცემა, რომლის მიერ მოწოდებული სიტუაციური ანალიზი, გარკვეული დახმარება და ორიენტირი იქნებოდა ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსებში მონაწილე ორგანიზაციებისათვის. ამიტომ, ფონდი მზადაა განიხილოს ნაშრომთან დაკავშირებული ყველა კომენტარი და შენიშვნა, რომელთა მიზანია ნაშრომის განახლებასა და გაუმჯობესებაში დახმარება. მსურველებს შეუძლიათ ასეთი კომენტარების მოწოდება Facebook-ის ამ სადისკუსიო ჯგუფში გაწევრიანების შემდეგ: <https://www.facebook.com/groups/1530353100556679/>.

Facebook-ის ეს სადისკუსიო ჯგუფი შეიქმნა როგორც ფონდის ყოველწლიური კონფერენციის – „ახალგაზრდობის დასაქმება, გამოწვევები და მიდგომები“ – მონაწილეთა შორის დისკუსიისა და ქსელური კავშირების შენარჩუნების ინსტრუმენტი. ამ ჯგუფში გაწევრიანება საშუალებას მისცემს კონკურსში მონაწილე ორგანიზაციებს დაამყარონ კავშირები მოწვლადი ახალგაზრდობის (შშმპ-თა ჩათვლით) დასაქმების სფეროში მოღვაწე პროფესიონალებსა და დაინტერესებულ ორგანიზაციებთან.

კონკურსში მონაწილე ორგანიზაციებს ამ ჯგუფში წევრობა შეიძლება დაეხმაროს ხელშეწყობით დასაქმების სფეროში პროფესიონალი ტრენერებისა და დასაქმების კონსულტანტების მოძიებაში.

პროგრამა 2. ცხოვრების ჯანსაღი წესი და მასობრივი სპორტი

მიზნები

ქვეპროგრამის/მიმართულების მიზანია წვლილი შეიტანოს საპროექტო განაცხადების პროგრამის მეორე სპეციფიური მიზნის¹⁰ მიღწევაში.

მოცემული მიზანი შეესაბამება ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის სტრატეგიულ მიმართულებას „ჯანმრთელობა“. კერძოდ ის ხელს უწყობს საქართველოს მთავრობას შემდეგი ამოცანების გადაჭრაში:

3.1.1 ხელი შეუწყოს ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ ახალგაზრდების ინფორმირებულობისა და განათლების დონის გაზრდას;

3.1.2 უზრუნველყოს ახალგაზრდებისთვის (მათ შორის, სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდებისთვის) პრევენციული სერვისების შექმნა, განვითარება და მათზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;

3.1.3 ხელი შეუწყოს დასვენებისა და გართობის ადგილებში და დაწესებულებებში ახალგაზრდებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნას;

3.1.4 დაეხმაროს ახალგაზრდებს თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებაში და შესაბამისად, მხარი დაუჭიროს ახალგაზრდების დასვენებასა და გართობაზე

¹⁰ გააძლიეროს ახალგაზრდების ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, ცოდნა, და ისეთი უნარ-ჩვევები, რაც მათ საკუთარ ჯანმრთელობაზე უკეთ ზრუნვის საშუალებას მისცემს

მიმართულ პროგრამებს, რომლებშიც ინტეგრირებული იქნება ფიზიკური აქტივობა და რეკრეაციული და საგანმანათლებლო ღონისძიებები;

3.1.5 იზრუნოს ახალგაზრდების სპორტულ აქტივობებში ჩაბმაზე, რისთვისაც ხელს შეუწყობს სპორტული ინფრასტრუქტურის გაფართოებას, გაუმჯობესებასა და ადაპტირებას;

3.1.6 ხელი შეუწყოს ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას სპორტული აქტივობების, მასობრივი კამპანიებისა და სხვა ღონისძიებების მეშვეობით;

3.1.7 ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშემწყობი მარეგულირებელი მექანიზმების გაძლიერების მიზნით, მოახდინოს მოქმედი საკანონმდებლო ბაზის გადასინჯვა და შესაბამისი ცვლილებების ინიცირება

მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია

საპროექტო განაცხადების კონკურსის პრიორიტეტები

ამ მიზნების მიღწევასა და ამოცანების გადაჭრაში წვლილის შესატანად საპროექტო განაცხადების პროგრამა ისახავს ორ ძირითად პრიორიტეტს:

1) მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა;

2) ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია;

მოცემულ ქვეპროგრამაში შემოტანილი საპროექტო განაცხადი შეიძლება შეესაბამებოდეს როგორც ერთ, ასევე ყველა დასახელებულ პრიორიტეტს.

მასობრივი სპორტის განვითარების პრიორიტეტის ხელშესაწყობად განხორციელებული პროექტების ზოგიერთი მოსალოდნელი შედეგია:

- 1.1) ახალგაზრდებს შორის სპორტის სფეროს გამოწვევებისა და სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი რეფორმების შესახებ ცნობიერების გაზრდილი დონე;
- 1.2) მოხალისეობრივ საწყისებზე მასობრივი სპორტის კულტურის დამკვიდრებისთვის მოწყობილ ღონისძიებებში მონაწილე ახალგაზრდების გაზრდილი რაოდენობა;
- 1.3) საერთაშორისო ახალგაზრდულ სპორტულ ღონისძიებებში (ფესტივალები, შეჯიბრებები) ჩართული ახალგაზრდების გაზრდილი რაოდენობა;
- 1.4) სპორტული მიმართულებით კონკრეტული სარეკომენდაციო პოლიტიკის დოკუმენტების შექმნა და თანამედროვე სპორტულ-საგანმანათლებლო ლიტერატურის პოპულარიზაცია.

ჯანსაღი ცხოვრების წესის პრიორიტეტის ხელშესაწყობად განხორციელებული პროექტების ზოგიერთი მოსალოდნელი შედეგია:

- 2.1) ახალგაზრდებს შორის ჯანსაღი ცხოვრების წესის ღირებულებების შესახებ ცნობიერების გაზრდილი დონე;
- 2.2) სკოლის მოსწავლეებსა და უნივერსიტეტის სტუდენტებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით გამართული აქტივობების რაოდენობის გაზრდა;
- 2.3) აღნიშნული მიმართულებით კონკრეტული სარეკომენდაციო პოლიტიკის დოკუმენტების შექმნა და თანამედროვე სპორტულ-საგანმანათლებლო ლიტერატურის პოპულარიზაცია.

პროგრამა 3. სამოქალაქო მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა

მიზნები

ქვეპროგრამის/მიმართულების მიზანია წვლილი შეიტანოს საპროექტო განაცხადების პროგრამის მესამე სპეციფიური მიზნის¹¹ მიღწევაში.

მოცემული მიზანი შეესაბამება ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებას „დასაქმება, განათლება და მობილობა“. კერძოდ ის ხელს უწყობს საქართველოს მთავრობას შემდეგი ამოცანების გადაჭრაში:

1.1.1 უზრუნველყოს სამოქალაქო უფლებებსა და ვალდებულებებზე ახალგაზრდების ცოდნის დონის ამაღლება როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების გზით;

1.1.2 ხელი შეუწყოს ფორმალური და არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას ახალგაზრდების სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და სახელმწიფოებრივი თვითშეგნების გაძლიერების მიზნით.

1.1.3 ხელი შეუწყოს ახალგაზრდული საქმიანობის გაძლიერებას, ახალგაზრდული მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებას, პროფესიულ განვითარებას და მათ მიერ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას;

1.1.4 ხელი შეუწყოს ახალგაზრდების ჩართვას საერთაშორისო ახალგაზრდულ პროგრამებში;

1.1.5 წახალისოს ისეთი სასწავლო პროგრამების განხორციელება, რომლებიც დაეხმარება ახალგაზრდებს გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაში;

1.1.6 ხელი შეუწყოს ისეთი ინსტრუმენტებისა და მექანიზმების განვითარებას, რომლებიც უზრუნველყოფს ახალგაზრდების ინსტიტუციონალურ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

¹¹ გააქტიუროს ახალგაზრდების მონაწილეობა ქვეყნის საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში

1.1.7 უზრუნველყოს ახალგაზრდების ჩართვის შესაძლებლობა, როგორც მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების, ასევე მათი აღსრულებისა და შეფასების პროცესში.

1.1.8 დაეხმაროს ახალგაზრდებს პროექტების მართვისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების განვითარებაში;

1.1.9 ხელი შეუწყოს ახალგაზრდების ჩაბმას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვისა და მოვლა-შენახვის ღონისძიებებში;

1.1.10 ხელი შეუწყოს ახალგაზრდებში ტურიზმის განვითარებას;

1.1.11 ფორმალური და არაფორმალური გარემოსდაცვითი განათლების საშუალებით ხელი შეუწყოს ახალგაზრდებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას;

1.1.12 ხელი შეუწყოს ახალგაზრდების ჩართვას გარემოსდაცვით ღონისძიებებში.

საპროექტო განაცხადების კონკურსის პრიორიტეტები

ამ მიზნების მიღწევასა და ამოცანების გადაჭრაში წვლილის შესატანად საპროექტო განაცხადების პროგრამა ისახავს სამ ძირითად პრიორიტეტს:

- 1) გარემოს დაცვა
- 2) გადაწყვეტილების მიღებაში ჩართვა
- 3) კულტურა

მოცემულ ქვეპროგრამაში შემოტანილი საპროექტო განაცხადი შეიძლება შეესაბამებოდეს როგორც ერთ, ასევე ყველა დასახელებულ პრიორიტეტს.

გარემოს დაცვის ხელშესაწყობად განხორციელებული პროექტების ზოგიერთი მოსალოდნელი შედეგია:

1.1) ახალგაზრდებს შორის ეკოლოგიური პრობლემების შესახებ ცნობიერების გაზრდილი დონე

1.2) მოხალისეობრივ საწყისებზე გარემოსდაცვით ღონისძიებებში მონაწილე ახალგაზრდების გაზრდილი რაოდენობა

1.3) გარემოსდაცვითი ნორმების შემუშავებაში ახალგაზრდების გაზრდილი მონაწილეობა თემის, მუნიციპალიტეტის, რეგიონის და ნაციონალურ დონეებზე

ახალგაზრდების **გადაწყვეტილების მიღებაში ჩართვის** ხელშესაწყობად განხორციელებული პროექტების ზოგიერთი **მოსალოდნელი შედეგია:**

2.1) სამოქალაქო უფლებებსა და ვალდებულებებზე არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების გაზრდილი რაოდენობა

2.2) სამოქალაქო განათლებაში ჩართული კვალიფიციური ახალგაზრდული მუშაკების გაზრდილი რაოდენობა

2.3) ახალგაზრდების გადაწყვეტილებაში ჩართულობის მეტი და უკეთ ინსტიტუციონალიზებული მექანიზმები

2.4) გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა თემის, მუნიციპალიტეტის, რეგიონის და ნაციონალურ დონეებზე

2.5) ახალგაზრდების გაზრდილი უნარები სამოქალაქო პროგრამების დაგეგმვის, მართვისა და შეფასების მხრივ

2.6) საერთაშორისო ახალგაზრდულ პროგრამებში ჩართული ახალგაზრდების გაზრდილი რაოდენობა

2.7) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მოვლა-შენახვის ღონისძიებებში, გარემოს დაცვით ღონისძიებებში და ტურიზმში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა

კულტურის პრიორიტეტით განხორციელებული პროექტების ზოგიერთი **მოსალოდნელი შედეგია:**

3.1) ახალგაზრდებს შორის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღირებულებების შესახებ ცნობიერების გაზრდილი დონე;

3.2) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებებსა და ტურიზმში (ქვეყნის შიდა ტურიზმი) ჩართული ახალგაზრდების გაზრდილი რაოდენობა

3.3) კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების შემუშავებაში ახალგაზრდების გაზრდილი მონაწილეობა თემის, მუნიციპალიტეტის, რეგიონის და ნაციონალურ დონეებზე.

აქტივობების შესაძლო სახეები (ეს სია არ ზღუდავს მიზნებით გამართლებულ სხვა შესაძლო აქტივობებს):

- კონკრეტული სოციალური პოლიტიკების (დასაქმება, ჯანდაცვა, განთლება, სოციალური დაცვა, და ა. შ.) ადვოკატობა უფლებადაცვითი და პოლიტიკების ცვლილებაზე მიმართული ღონისძიებებით (სამოქალაქო განთლება, პოლიტიკის რეკომენდაციებზე გამიზნული კვლევები, საკანონმდებლო ინიციატივები და ა.შ.)
- ადგილობრივ მედიასთან თანამშრომლობით განხორციელებული ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული აქტივობები (საგაზეთო სტატიები, სოციალური რეკლამა მასმედიაში, საგანმანათლებლო ნაბეჭდი და ვიდეო მასალის გავრცელება და ა.შ.)
- ცოდნისა და უნარების განვითარებაზე მიმართული ღონისძიებები: ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები, კონფერენციები, სემინარები, სასწავლო ტურები ა.შ.
- ქსელურ მუშაობაზე და ორგანიზაციების ინსტიტუციონალიზაციაზე მიმართული ღონისძიებები (კონფერენციები, შეხვედრები, სოციალური ქსელების განვითარება საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით და ა.შ.);

პროგრამა 4. ინოვაციებისა და სტარტ-აპ ტექნოლოგიური გამოგონებების მხარდაჭერა

მიზნები

ქვეპროგრამას/მიმართულებას წვლილი შეაქვს საპროექტო განაცხადების პროგრამის მეოთხე სპეციფიური მიზნის¹² მიღწევაში. ქვეპროგრამის მიზნებს შორისაა

¹² გაზარდოს ახალგაზრდების აქტიურობა ინოვაციური და კრეატიული მიდგომებით ქვეყნის ეკონომიურ სოციალურ ცხოვრებაში წვლილის შეტანისათვის

სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და სხვადასხვა ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციებს ისევე, როგორც უმაღლესი სასწავლებლების ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების სტუდენტებს შორის, თანამშრომლობის ხელშეწყობა; ასევე, ამ სფეროში მოღვაწე არასამთავრობო სექტორსა და მათ სამიზნე აუდიტორიას შორის უფრო მჭიდრო კავშირების დამყარება.

ეს საპროექტო განაცხადების პროგრამა გათვლილია ფორმალური კოალიციური/ქსელური გაერთიანებებისათვის, რომლებიც ახალგაზრდებში ინოვაციებისა და ტექნოლოგიური მიღწევების მხარდაჭერის მიმართულებით მუშაობენ.

საპროექტო განაცხადების კონკურსის პრიორიტეტები:

ამ მიზნების მიღწევასა და ამოცანების გადაჭრაში წვლილის შესატანად საპროექტო განაცხადების პროგრამა ისახავს ერთ ძირითად პრიორიტეტს:

- 1) ახალგაზრდებში ინოვაციებისა და სტარტ-აპ ტექნოლოგიური გამოგონებების მხარდაჭერის პრიორიტეტი;

აღნიშნული პრიორიტეტის ხელშესაწყობად განხორციელებული პროექტების ზოგიერთი მოსალოდნელი შედეგია:

- 1.1 სახელმწიფოს მხრიდან ინოვაციების სფეროში დაგეგმილი რეფორმების შესახებ გაზრდილი ინფორმირებულობის დონე ახალგაზრდებში;
- 1.2 უნივერსიტეტებისა და სხვადასხვა კერძო კომპანიების მიერ შემუშავებული ინოვაციური სერვისების შესახებ მაღალი ინფორმირებულობა ახალგაზრდებში;
- 1.3 ინოვაციებისა და ტექნოლოგიების კუთხით დაინტერესებული ახალგაზრდების იდეების მხარდაჭერა;

1.4 ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მოსწავლეებისა და სტუდენტების შედეგების გაუმჯობესება;

საპროექტო წინადადებების შეფასების კრიტერიუმები

შენიშვნა : თითოეული კრიტერიუმს ენიჭება ქულა 0- დან 25 ქულის ჩათვლით

განაცხადის შეფასების კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა %
<p>1. პროექტის შესაბამისობა პროგრამის მიზნებსა და პრიორიტეტებთან</p> <ul style="list-style-type: none"> • რამდენად ეფექტური და განხორციელებადია პროექტი? • რამდენად სტრატეგიულად არის შერჩეული პროექტის სამიზნე ჯგუფები? რამდენად ნათლად არის განსაზღვრული მათი საჭიროებები და ამ საჭიროებათა დაკმაყოფილების გზები? • შეიცავს თუ არა პროექტი დამატებითი ღირებულების (added-value) ელემენტს, როგორცაა გენდერული თანასწორობის და უმცირესობათა უფლებების დაცვა ან ინოვაციების და კარგი პრაქტიკების დანერგვის ხელშეწყობა? 	25
<p>2. ეფექტურობა და განხორციელებადობა</p> <ul style="list-style-type: none"> • არის თუ არა შემოთავაზებული აქტივობები შესაფერისი, პრაქტიკული, და თანმიმდევრული მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების მიმართ? • არის თუ არა აქტივობების გეგმა ნათელი და განხორციელებადი? • შეიცავს თუ არა პროექტი დაგეგმილი შედეგების ობიექტურად შემოწმებად/გაზომვად ინდიკატორებს? არის თუ არა რაიმე ტიპის შეფასება (პროექტის შედეგები) დაგეგმილი? • არის თუ არა პროექტის განმახორციელებელი პარტნიორების ჩართულობა და მონაწილეობა დამაკმაყოფილებელი? 	25
<p>3. პროექტის მდგრადობა</p> <ul style="list-style-type: none"> • რამდენად სავარაუდოა, რომ პროექტს ექნება ხელშესახები გავლენა სამიზნე ჯგუფებზე? 	25

<ul style="list-style-type: none"> • რამდენად სავარაუდოა, რომ პროექტს ექნება გამრავლების ეფექტი (მათ შორის გამეორება სხვათა მიერ, სამომავლო გაფართოება განმახორციელებლების მიერ, და ინფორმაციის გაზიარება)? • მდგრადია თუ არა პროექტის მოსალოდნელი შედეგები? <ul style="list-style-type: none"> - ფინანსურად (როგორ გაგრძელდება პროექტის აქტივობების დაფინანსება პროექტის შემდეგ?) - ინსტიტუციურად (დარჩებიან თუ არა პროექტის შემდეგ ის სტრუქტურები, რომლებიც იძლევიან აქტივობების განხორციელების საშუალებას?) - პოლიტიკების დონეზე (სადაც შესაძლებელია) (მაგალითად, მიგვიყვანს თუ არა პროექტი გაუმჯობესებულ კანონმდებლობამდე, პრაქტიკამდე, მეთოდამდე, ქცევის წესებამდე?) 	
<p>4. პროექტის ბიუჯეტი და ხარჯთეფექტურობა</p> <ul style="list-style-type: none"> • შესაფერისად არის თუ არა ბიუჯეტში ასახული პროექტის აქტივობებისათვის საჭირო რესურსები? • დამაკმაყოფილებელია თუ არა გაწეული ხარჯების თანაფარდობა მიღწეულ შედეგებთან? 	25
<p>შესაძლებელი ქულების მაქსიმუმი</p>	100

საგრანტო კონკურსის ტექნიკური პირობები

ვის შეუძლია კონკურსში მონაწილეობა?

სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მიერ გამოცხადებულ საპროექტო განაცხადების კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ბავშვთა და ახალგაზრდულ კავშირებს, ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

აუცილებელია, რომ ახალგაზრდული კავშირი (ორგანიზაცია) იყოს რეგისტრირებული საჯარო რეესტრში ანუ წარმოადგენდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს, რომლის სადამფუძნებლო დოკუმენტაციით, კერძოდ კი წესდებით, განსაზღვრულია საქმიანობის შემდეგი მიზნები:

ახალგაზრდების უფლებებისა და თავისუფლების დაცვისათვის, მათი ნიჭისა და უნარის განვითარებისათვის და საზოგადოებაში დამკვიდრებისთვის ხელის შეწყობა.

საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან ერთად აუცილებელია პროექტის წარმომდგენი ორგანიზაცია დარეგისტრირდეს ფონდის ვებ-გვერდზე, მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს შეავსოს საპროექტო განაცხადების აპლიკაცია და წარმოადგინოს პროექტი ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდში.

როგორ დავრეგისტრირდეთ ფონდის ვებ-გვერდზე?

- სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.fondi.gov.ge), მთავარ მენიუში, ჩამოშალეთ გვერდი - კონკურსები.
- გადადით აღნიშნული გვერდის ბოლო პუნქტზე.
- გვერდზე გადასვლის შემდეგ დაიწყეთ ახალი მომხმარებლის რეგისტრაცია. გაითვალისწინეთ, რომ რეგისტრაციას აქვს ველის შევსება სავალდებულოა.
- მიუთითეთ ისეთი ელექტრონული ფოსტა, რომელზეც ხელი მიგიწვდებათ, ვინაიდან რეგისტრაციის დასრულების შემდეგ მითითებულ ფოსტაზე თქვენ მიიღებთ ორგანიზაციის ბაზაში დასაშვებ პაროლს.
- რეგისტრაციის ფორმის ბოლოში არ დაგავიწყდეთ დამცავი კოდის შეყვანა, რომელიც ბოლო პუნქტში პატარა გრაფიკის სახითაა წარმოდგენილი და მასზე კონკრეტული ასო-ნიშნები ან ციფრები იქნება გამოსახული.
- ყველა ველის შევსების შემდეგ დააჭირეთ გაგზავნას, რის შემდეგაც, რამდენიმე წუთში თქვენ მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე შემდეგი მისამართიდან - wordpress@youthfund.itnovations.ge - მიიღებთ მომხმარებლის სახელს (username) და პაროლს (password). გაითვალისწინეთ, რომ ზოგჯერ

შემოსული წერილი ავტომატურად, ფოსტის გაუმართაობის გამო ვარდება ე.წ. „სპამში“ (spam). ამიტომ, სარეგისტრაციო მონაცემების დაგვიანების შემთხვევაში, თქვენივე ელექტრონულ ფოსტაზე შემოსული წერილების პუნქტის გარდა, შეამოწმეთ ე.წ. „სპამის“ პუნქტიც.

- ელექტრონულ ფოსტაზე მიღებული მომხმარებლის სახელი და პაროლი შეიყვანეთ ამავე დასახელების პუნქტებში და დააჭირეთ ავტორიზაციას, რის შემდეგაც თქვენ ავტომატურად გადახვალთ საპროექტო განაცხადების აპლიკაციის გვერდზე.
- გაითვალისწინეთ, რომ აუცილებელია შეინახოთ თქვენი პაროლი და მომხმარებლის სახელი. საპროექტო განაცხადების აპლიკაციის გვერდი ღია იქნება საპროექტო განაცხადების კონკურსის მიმდინარეობის პერიოდში და თქვენ ნებისმიერ დროს შეძლებთ შეხვიდეთ გვერდზე, გადახედოთ აპლიკაციის პუნქტებს, გამოგზავნამდე თქვენივე კომპიუტერში

როგორ შევავსოთ საპროექტო განაცხადების აპლიკაცია

მნიშვნელოვანი გასათვალისწინებელი ფაქტორები:

- აპლიკაციის შევსებამდე კარგად გადაავლეთ თვალი ყველა ველს. სასურველია, წინასწარ მოამზადოთ ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია. აპლიკაციას აქვს შენახვის ფუნქცია საპროექტო წინადადების გამოგზავნამდე.
- საპროექტო განაცხადების აპლიკაცია შეავსეთ ქართული შრიფტით (Sylfaen);
- გაითვალისწინეთ, რომ აპლიკაციაში არსებობს სავალდებულო და არასავალდებულო პუნქტები. სავალდებულო პუნქტები აღნიშნულია შემდეგი ნიშნით: * . იმ შემთხვევაში, თუ არ შეავსებთ რომელიმე სავალდებულო პუნქტს, თქვენი პროექტი არ გამოიგზავნება;
- ერთ ორგანიზაციას აქვს მხოლოდ ერთი პროექტის გამოგზავნის უფლება. იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრირებული ორგანიზაციის მიერ გამოიგზავნება

ერთზე მეტი პროექტი, სათათბირო განიხილავს მხოლოდ დროის მიხედვით პირველად წარმოდგენილ პროექტს;

- საპროექტო განაცხადების პროექტების მიღება ხდება მხოლოდ ელექტრონული აპლიკაციის ფორმის შევსების შემთხვევაში. არც ერთი სხვა გზით გამოგზავნილი პროექტი არ განიხილება სამინისტროს სათათბიროს მიერ;
- თითოეული პროექტი შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს მხოლოდ 1 პრიორიტეტის ფარგლებში.
- იმ შემთხვევაში, თუ თქვენი პროექტი ფონდის რამდენიმე პრიორიტეტს ერთდროულად მოიცავს აპლიკაციაში მიუთითეთ თქვენი მთავარი, პირველადი პრიორიტეტი, რომელიც უნდა შეარჩიოთ ფონდის 2016 წლის პრიორიტეტებიდან (იხილეთ მოცემული გზამკვლევის თავი „პროგრამის ქვეპროგრამები/მიმართულებები“).

პროექტში მითითებული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია¹³

- ა) პროექტის განმახორციელებელი პირების (პროექტის ხელმძღვანელი, პროექტის კოორდინატორი, ფინანსური მენეჯერი) შესახებ მონაცემები (CV);
- ბ) პრობლემის განსაზღვრა;
- გ) პროექტის მიზანი;
- დ) მოსალოდნელი შედეგები;
- ე) ზუსტად ფორმულირებული და დაანგარიშებული ბიუჯეტი;
- ვ) დროში ეტაპობრივად გაწერილი სამუშაო გრაფიკი;
- ზ) პროექტის ან ორგანიზაციის შესახებ რეკომენდაცია არანაკლებ ერთისა;
- თ) მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით:
 - თ.ა) ორგანიზაციის სახელწოდება;

¹³ საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანება #2 (2001 წ. 155 თებერვალი) სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მოსაპოვებლად ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების მიერ შემუშავებული პროექტების კონკურსის ჩატარების ვადის, წესისა და პირობების დებულების დამტკიცების შესახებ

თ.ბ) ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი;

თ.გ) ორგანიზაციის ხელმძღვანელის სახელი და გვარი.

პროექტი, რომელიც ორიენტირებული იქნება სოციალური მეწარმეობის მიმართულეობაზე თან უნდა ახლდეს დამატებითი დოკუმენტაცია, რომლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია აპლიკაციის შევსების დროს და ასევე განთავსებულია ფონდის საიტზე სხვა დანარჩენ დოკუმენტაციასთან ერთად. (სამუშაო გეგმა-დროის ცხრილი, ბიუჯეტი, სოციალური მეწარმეობის კითხვარი, მოგება-ზარალის უწყისი)

საპროექტო განაცხადების კონკურსის ვადები

პროექტები უნდა გამოაგზავნოთ მხოლოდ საპროექტო განაცხადების კონკურსის პერიოდში

19 თებერვლის 12:00 საათიდან 18 მარტის 18:00 საათამდე;

მისაბმელი ფაილები

გაითვალისწინეთ, რომ მისაბმელი ფაილები უნდა მომზადდეს წინასწარ, რათა შემდეგ ატვირთოთ ფონდის ვებ-გვერდზე.

ყველა ორგანიზაციისთვის სავალდებულოა შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა:

1. მონაცემები პროექტში ჩართული პირების შესახებ

პროექტზე პასუხისმგებელი პირებისა და ორგანიზაციის წევრების CV

(ფაილების ატვირთვას შეუზღუდავად შეძლებთ თქვენივე კომპიუტერიდან);

2. ბიუჯეტი

ბიუჯეტის ფორმა მომზადებულია “ექსელის” (Excel) ფაილში, რომელიც უნდა ჩამოიტვირთოს საპროექტო განაცხადების აპლიკაციიდან; მომზადდეს და შემდეგ ასევე “ექსელის” (Excel) ფაილით აიტვირთოს აპლიკაციის შევსების პროცესში. ბიუჯეტის ფორმა არ დაასკანეროთ და არ გადაიყვანოთ სხვა ფორმატში.

გაითვალისწინეთ, რომ ბიუჯეტს აქვს ხარჯების კლასიფიკაციის პუნქტი. თქვენ მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა სწორედ ამ კლასიფიკაციის საფუძველზე უნდა იყოს მომზადებული.

ხელფასების საერთო ოდენობა არ აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 30 %.

პროექტი, რომელსაც ბიუჯეტის ნაცვლად კლასიფიკაციის პუნქტები ექნება შევსებული არ განიხილება.

3. რეკომენდაციები

თითოეული პროექტისთვის აუცილებელია რეკომენდაციის წარმოდგენა.

რეკომენდაციას უნდა ახლდეს რეკომენდატორის ხელმოწერა და საკონტაქტო ინფორმაცია; შესაბამისად, რეკომენდაცია უნდა იყოს წარმოდგენილი სკანირებული სახით.

აუცილებელია არანაკლებ ერთი რეკომენდაციის ატვირთვა.

რეკომენდაციები უნდა გაიცეს ორგანიზაციის ან პროექტის შესახებ, ამა თუ იმ დარგის ექსპერტის, ორგანიზაციის ყოფილი საქმიანი პარტნიორის თუ სხვა იმ პიროვნების ან სტრუქტურის სახელით, რომელიც ფლობს ინფორმაციას პროექტის შინაარსისა და არასამთავრობო ორგანიზაციის კვალიფიკაციის შესახებ;

რეკომენდაციის ფორმასა და სტრუქტურას თავად რეკომენდატორი ადგენს, მისი ჩამოტვირთვა არ არის შესაძლებელი სააპლიკაციო ფორმიდან;

4. პროექტის დროის ცხრილი.

აუცილებელია პროექტს ახლდეს დროის ცხრილი, რომლის ფორმაც უნდა ჩამოიტვირთოს საპროექტო განაცხადების აპლიკაციიდან. ცხრილი შევსების შემდეგ იტვირთება აპლიკაციაში სკანირების გარეშე. არ შეცვალოთ მისი სტრუქტურა.

ეს თავი უნდა შეიცავდეს პროექტის დროში განაწილებულ მსვლელობას. მასში უნდა აისახოს ეტაპებად დაყოფილი პროექტის შესასრულებლად გასაწევი საქმიანობა, განაწილებული თვეების (დღეების, კვირების, კვარტლების) მიხედვით პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე.

5. სოციალური მეწარმეობის კითხვარი

იმ შემთხვევაში, თუ თქვენი პროექტი მომზადებულია სოციალური მეწარმეობის პროგრამული პრიორიტეტის ფარგლებში სავალდებულოა ჩამოტვირთოთ, შეავსოთ და ატვირთოთ სოციალური მეწარმეობის კითხვარი. სხვა პროგრამული პრიორიტეტის ფარგლებში მომზადებულ პროექტებს არ სჭირდებათ აღნიშნული კითხვარის შევსება. არ გადაიყვანოთ სხვა ფორმატში, არ დაასკანეროთ ან არ შეცვალოთ მისი სტრუქტურა:

6. თანადაფინანსების დოკუმენტი

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ პროექტს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის გარდა ჰყავს სხვა პოტენციური ფინანსური მხარდამჭერი სავალდებულოა, აიტვირთოს თანადაფინანსების დოკუმენტი. თანადაფინანსება ჩაითვლება უპირატესობად, თუმცა არ არის სავალდებულო და შესაძლებელია, პროექტისათვის საჭირო სრული თანხა მოთხოვნილი იქნას მხოლოდ ჩვენი ფონდიდან; თანადაფინანსების ფორმასა და სტრუქტურას თავად დამფინანსებელი ადგენს, მისი ჩამოტვირთვა არ არის შესაძლებელი სააპლიკაციო ფორმიდან; თუმცა თანადაფინანსების დოკუმენტში ზუსტად უნდა იყოს ასახული ის თანხა და ბიუჯეტის პუნქტები, რომელსაც სხვა ორგანიზაცია თუ ფიზიკური პირი აფინანსებს.

პროექტის გაგზავნა

შეგახსენებთ, რომ თქვენ ბევრჯერ შეგიძლიათ ნახოთ აპლიკაციის ფორმა, მაგრამ ვერ შეინახავთ მის შევსებულ ვერსიას, ვერ შეძლებთ გამოგზავნილ პროექტში შევსებული ინფორმაციის გასწორებას ან ჩამატებას.

ამიტომ, კარგად გადაამოწმეთ, დარწმუნდით თქვენი ინფორმაციის სიზუსტეში, შეიყვანეთ დამცავი კოდი, როგორც ეს ორგანიზაციის რეგისტრაციისას მოხდა და დააჭირეთ გაგზავნას.

პროექტის წარმატებით გამოგზავნის შემთხვევაში რეგისტრაციისას მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე უნდა მიიღოთ დადასტურების წერილი შემდეგი შინაარსით:

„მოგესალმებით, თქვენი პროექტი მიღებულია. შემოსულ პროექტებს განიხილავს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სათათბირო. საპროექტო განაცხადების კონკურსის შედეგების შესახებ ინფორმაციას გაცნობებთ წერილობით. გისურვებთ წარმატებებს! პატივისცემით, სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის ადმინისტრაცია”

გახსოვდეთ, არ განიხილება არც ერთი აპლიკაცია, რომელშიც გათვალისწინებული არ იქნება ზემოთ ჩამოთვლილთაგან თუნდაც ერთი რეკომენდაცია.

საკონსულტაციო საკითხები

დამატებითი კითხვების შემთხვევაში შეგიძლიათ მიმართოთ ფონდის პროგრამების სამსახურს.

სატელეფონო და ონლაინ კონსულტაცია:

პროგრამა 1. დასაქმების ხელშეწყობა და არაფორმალური განათლება

ავთანდილ ხანთაძე (პროგრამის ოფიცერი) – 599423004; a.khantadze@fondi.gov.ge

პროგრამა 2. ცხოვრების ჯანსაღი წესი და მასობრივი სპორტი

ბერდია ჩანქსელიანი (პროგრამის ოფიცერი) – 598114141; b.chankseliani@fondi.gov.ge

პროგრამა 3. სამოქალაქო მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა

ილია ჩხეიძე (პროგრამის ოფიცერი) – 577950057; i.chkheidze@fondi.gov.ge

პროგრამა 4. ინოვაციებისა და სტარტ-აპ ტექნოლოგიური გამოგონებების მხარდაჭერა



ანა გარაკანიძე (პროგრამის მფიცერი) – 577739972; a.garakanidze@fondi.gov.ge